მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი, საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი N1

დ.მესტია 20/01/2021 წელი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში 2021 წლის 21 იანვარს, დილის 11:00 საათზე გაიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის ზეპირი გამოცდისა და გასაუბრების ეტაპი, შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მე-III რანგის მე- III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ვაკანსიის N 62809). კონკურსის, ზემოთ აღნიშნული ეტაპის შედეგების შეჯამების მიზნით, გაიმართა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ხარძიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავჯდომარე;
2. თეიმურაზ ნავერიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავჯდომარის მოედგილე;
3. ირინა ღვაჩლიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
4. ნაირა ჯაფარიძე - მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

განსახილველი საკითხი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის ზეპირი გამოცდისა და გასაუბრების ეტაპის შედეგების შეჯამება და მერის წინაშე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

აზრი გამოთქვეს და გადაწყვიტეს:

მიღებული შედეგის შეჯამების მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ კომისიის წევრებს წარმოუდგინა კონკურსანტების გამოცდაზე

გამოცხადების სარეგისტრაციო ფორმები და კომისიის წევრების მიერ შევსებული შეფასების ფორმები (დანართი N1 და დანართი N2). აგრეთვე, კონკურსანტის მიერ შევსებული, გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩაწერაზე თანხმობის ფორმა (დანართი N3). საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრული საკანონმდებლო აქტების ცოდნა შეფასდა დამტკიცებული ფორმის მიხედვით (დანართიN1) ოთხბალიანი სისტემით, სადაც 1-ნიშნავდა არადამაკმაყოფილებელ შედეგს, 2- დამაკმაყოფილებელი, 3-კარგი და 4-ძალიან კარგი; კომისიის წევრების მიერ დაწერილი თითოეული შეფასების ჯამიდან გამოითვალა საშუალო არითმეტიკული, რის შედეგადაც მიღებული იქნა საერთო ქულა 1-დან 4-მდე. პროფესიული უნარების შეფასებაში კი იყო შედეგის ამსახველი სამი განსაზღვრება: ,,სუსტად განვითარებული", ,,საშუალოდ განვითარებული" და ,,კარგად განვითარებული". პროფესიული უნარების შეფასების ნაწილში უპირატესი იყო კომისიაში მყოფი დარგობრივი სპეციალისტების მოსაზრება.

შედეგების განხილვის საფუძველზე გამოვლინდა, რომ წერილობით შეტყობინებაში კანდიდატებისთვის მითითებულ დროზე, ვაკანსიის N62809 დაკავების მიზნით ჩატარებულ, ზეპირი გამოცდისა და გასაუბრების ეტაპზე, ხუთი კონკურსანტიდან გამოცხადდა მხოლოდ ორი და მათ მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე:

კომისიამ გადაწყვიტა, ვაკანსიაზე (N62809) - შიდა აუდიტის სამსახურის, მე-III რანგის, მე-III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

შედეგით - 3, 25 ქულა და პროფესიულ უნარებში **,,კარგად განვითარებული" - ირინა გაბლიანს** [redacted], დასანიშნად გაეწიოს რეკომენდაცია.

ხოლო, შედეგით - 2 ქულა (**დამაკმაყოფილებელი**) და პროფესიულ უნარებში **,,სუსტად განვითარებული" - ეკა ხოჯელანს** [redacted], კომისია რეკომენდაციას უწევს საჯარო სამსახურის რეზერვში ჩასარიცხად;

ოქმს თან ერთვის:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი, საკონკურსო კომისიის თვაჯდომარედ დანიშვნის შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 დეკემბრის N248-02 ბრძანების ასლი;

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა შესარჩევი, საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ" მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის ბრძანება N05 31.12.2020 წ - ასლი;

3. კონკურსანტთა სარეგისტრაციო ფორმა;

4.კომისიის წევრთა შეფასებები (დანართიN1 და დანართიN2);

5.აუდიო-ვიდეო ჩაწერაზე თანხმობის ფორმები (დანართიN3);

დანართი სულ: ( ) ფურცელი

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

სხდომის თავჯდომარე: /ქ. ხარძიანი/

კომისიის თავჯდომარის მოადგილე: /თ. ნავერიანი/

წევრი: /ი. ღვაჩლიანი/

წევრი: /ნ. ჯაფარიძე/